




საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია



უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგის ანგარიში



**უზენაესი სასამართლოს პლენუმის
მონიტორინგის ანგარიში
(2021-2022)**

**თბილისი
2023**

ანგარიში მომზადებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „Monitoring of the Judiciary“ ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მასში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ნიდერლანდების საელჩოს შეხედულებებს



Kingdom of the Netherlands

ანგარიშის ხელმძღვანელი: ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: თამარ ხუხია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|----|
| 1. კვლევის მიზნები და სუბიექტები | 4 |
| 2. კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები და წყაროები | 5 |
| 3. ძირითადი მიზნებები | 6 |
| 4. პლენუმის შემადგენლობა | 7 |
| 5. პლენუმის სხდომის მოწვევა | 7 |
| 6. გადაწყვეტილების მიღების წესი | 8 |
| 7. მოსამართლეთა ინფორმირება სხდომისა და განსახილველი საკითხების შესახებ | 8 |
| 8. პლენუმის მუშაობის საბაროობა | 9 |
| 8.1. პლენუმის სხდომის საჯაროობა | 9 |
| 8.2. გადაწყვეტილებათა პროაქტიულად გამოქვეყნება, ინფორმაციის განთავსება, აუდიოჩაწერა | 9 |
| 8.3. პლენუმის მიერ თანამდებობაზე გასამწესებელ პირთა შესახებ ინფორმაცია | 10 |
| 9. უზენაესი სასამართლოს რეგლამენტი | 11 |
| 10. პლენუმის უფლებამოსილებები და ვალდებულებები | 12 |
| 10.1. სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობების/ თავმჯდომარეების განსაზღვრის უფლებამოსილება | 12 |
| 10.2. პოლიტიკური ხასიათის უფლებამოსილებები | 14 |
| 10.3. უზენაესი სასამართლო, როგორც დოქტრინალური ინსტანცია - პლენუმის როლი | 16 |
| 10.4. ადმინისტრაციული ხასიათის უფლებამოსილებები | 17 |
| 11. რეკომენდაციები | 19 |

1. კვლევის მიზნები და სუბიექტები

უზენაესი სასამართლოს პლენუმი საკასაციო ინსტანციის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეულია. მიუხედავად იმისა, რომ, კონსტიტუციის შესაბამისად, საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას იუსტიციის უმაღლესი საბჭო (საბჭო) უნდა უზრუნველყოფდეს,¹ უზენაესი სასამართლოს პლენუმსაც აქვს უფლებამოსილებები, რომლებიც არა მხოლოდ მესამე ინსტანციას, არამედ მთლიანად სისტემას უკავშირდება.

საია პლენუმის მუშაობას 2020 წლიდან აკვირდება. წინა ანგარიშში განხილულია მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები შედარებითსამართლებრივ კონტექსტში. კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა ხარვეზები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. წინამდებარე დოკუმენტი კი 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობის თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა, თუმცა შეიცვალა კონტექსტი, ამიტომ პლენუმის მონიტორინგს რელევანტურობა არ დაუკარგავს. დროის ამ მონაკვეთში შეივსო უზენაესი სასამართლო და იგი სრულად დაკომპლექტდა. დღეის მდგომარეობით, სასამართლო 28 მოსამართლის შემადგენლობით მუშაობს.²

კრიტიკამ, რომელიც 2019 წლის დანიშვნებს მოჰყვა, შედეგი ვერ გამოიღო. 2021 წლის ივლისში პროცესი განახლდა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეფასდა, როგორც არაობიექტური.³ ამას წინ უძღოდა ე.წ. „მარლ მიშელის შეთანხმება“, რომელიც ხელმომწერ მხარეებს აკისრებდა ვალდებულებას, უზენაეს სასამართლოში „ყველა მიმდინარე დანიშვნა“ შეეჩერებინათ „სასამართლოს ამბიციური რეფორმის“ დასრულებამდე.⁴ თუმცა, მმართველმა პარტიამ ეს არ გაითვალისწინა და 12 ივლისს 6 მოსამართლე თანამდებობაზე დანიშნა.⁵ ევროკავშირმა ამ ქმედებას საქართველოს ხელისუფლების „დაკარგული შესაძლებლობა“ უწოდა.⁶ აშშ-ის საელჩოს განცხადებით, რომელსაც წინ უსწრებდა მო-

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 64.

² 2021 წლის 12 ივლისი: ლევან თევზაძე, რევაზ ნადარაია, ლამაქოჩიაშვილი, გიორგი გოგიაშვილი, ბიძინა სტურუა, გოჩა აბუსერიძე; 2021 წლის 1-ლი დეკემბერი: თამარ ოქროპირიძე, თეა ძიმისტარაშვილი, ნინო სანდოძე, გენადი მაკარიძე; 2021 წლის 19 დეკემბერი: ამირან ძაბუნაძე.

³ თამარ ხუზია, „ქართული მართლმსაჯულების რეფორმა - გამვებული შესაძლებლობა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბლოგი, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/qartuli-martlmsajulebis>, განახლებულია: 23.01.2023.

⁴ “President of the European Council Charles Michel publishes new proposal made today to Georgian political parties”, EU-ს ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/president>, განახლებულია: 17.01.2023.

⁵ „პარლამენტმა უზენაეს სასამართლოში 6 მოსამართლე უვადოდ დანიშნა“, რადიო თავისუფლება, 2021 წლის 12 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31354537.html>, განახლებულია: 17.01.2023.

⁶ „მოსამართლეების დანიშვნა და ევროკომისიის განცხადება“, პირველი არხი, 2021 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/video/mosamartleebis-danishvna-da-evrokomiis-ganckhadeba/>, განახლებულია: 17.01.2023.

წოდებები, არ დაენიშნათ მოსამართლეები,⁷ პარლამენტის გადაწყვეტილება უაღრესად გულდასაწყვეტი იყო.⁸

2021 წლის 1-ელ დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 4 მოსამართლე თანამდებობაზე განაწესა.⁹ არც ეს პროცესი დარჩა კრიტიკის მიღმა. ევროკავშირმა კვლავ შეახსენა ხელისუფლებას, რომ საქართველოსთვის დახმარების საკითხი საკვანძო რეფორმების, მათ შორის, სასამართლოს რეფორმის წინსვლაზე იქნებოდა დამოკიდებული.¹⁰ აშშ-ის ელჩმა კი განაცხადა - გაუგებარია, რატომ არის საჭირო სიჩქარე, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს თანხმობა სასამართლოს მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი რეფორმის თაობაზე.¹¹ სწორედ ასეთი მოვლენების ფონზე, უტაპობრივად შეივსო უზენაესი სასამართლოს პლენუმი. საზოგადოების მაღალი ინტერესი, პლენუმის უფლებამოსილებებთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანს ხდის კოლეგიური ორგანოს მონიტორინგს.

2. კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები და წყაროები

ნაშრომი ეფუძნება კვლევის დოქტრინალურ და არადოქტრინალურ მეთოდებს. დოქტრინალური მეთოდის შესაბამისად, შესწავლილია ნორმატიული ჩარჩო, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები და ამ აქტებთან დაკავშირებული მეორადი წყაროები. რაც შეეხება არადოქტრინალურ მეთოდს, ანგარიშში გამოკვეთილია პლენუმის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები (პრობლემის კვლევა) და ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებულია წინადადებები (სარეფორმო კვლევა).

საიამ კვლევისას გამოიყენა შემდეგი ინსტრუმენტები და წყაროები:

- საკანონმდებლო აქტები;
- ოფიციალური კორესპონდენციით მიღებული, ასევე ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
- პლენუმის სხდომების მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

⁷ „აშშ-ის ელჩი მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“ - 19 აპრილის შეთანხმების პირობები დაიცვას“, ამერიკის ხმა, 2021 წლის 19 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.amerikishma.com/a/usa-and-eu-slam-high>, განახლებულია: 17.01.2023.

⁸ „აშშ-ის საელჩო: აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესის შეჩერება“, რადიო თავისუფლება, 2021 წლის 15 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31360100.html>, განახლებულია: 17.01.2023.

⁹ „პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე აირჩია“, საქართველოს პარლამენტი, 2021 წლის 1-ლი დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/parlamentma>, განახლებულია: 17.01.2023.

¹⁰ „EU მოსამართლეებზე: საქართველოსთვის EU-ს დახმარება რეფორმების წინსვლაზეა დამოკიდებული“, 2021 წლის 2 დეკემბერი, ტაბულა, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/677086-eu>, განახლებულია: 17.01.2023.

¹¹ „დევნანი: ახლა კიდევ 4 მოსამართლეა არაგამჭვირვალე პროცესით უვადოდ დანიშნული“, 2021 წლის 2 დეკემბერი, ტაბულა, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/677087>, განახლებულია: 05.12.2022.

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით შესწავლილია საუკეთესო პრაქტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები.

3. ძირითადი მიგნებები

კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებულია შემდეგი მიგნებები:

- პლენუმში სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა რაციონალურ არგუმენტებს არ ემყარება;
- არ არის დადგენილი, მოსამართლეთა მოთხოვნიდან რამდენ ხანში უნდა დაინიშნოს პლენუმის სხდომა;
- პლენუმის სხდომები, როგორც წესი, ღიაა, თუმცა ფართოა პლენუმის დისკრეცია, სხდომა დაიხუროს;
- პლენუმს არ აქვს ვალდებულება, გონივრული ვადით ადრე განათავსოს საკუთარი სხდომების შესახებ ინფორმაცია. ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ამას თავმჯდომარე განსაზღვრავს. გარდა ამისა, დღის წესრიგი, როგორც წესი, არის ძალიან ზოგადი;
- ვებგვერდზე არ ქვეყნდება პლენუმის სხდომის ოქმები. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაცია იდება მხოლოდ პრესრელიზის ფორმით, რაც სრულ სურათს ვერ ქმნის;
- განსაზღვრული არ არის სხდომებზე აუდიოჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და ეს მხოლოდ პლენუმის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული;
- კანონი არ განსაზღვრავს, რამდენი ხნით ადრე უნდა ეცნობოს პლენუმის წევრებს სხდომის შესახებ, როდის უნდა მიეწოდოს მათ საჭირო დოკუმენტაცია გადაწყვეტილების მისაღებად. დამკვიდრებული პრაქტიკა არათანმიმდევრულია;
- ყველა გადაწყვეტილება მიიღება ერთნაირი კვორუმით. უფლებამოსილებათა მნიშვნელობებს შორის განსხვავებები არ აისახება გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უმრავლესობაზე;
- უზენაეს სასამართლოს არ აქვს რეგლამენტი, რის გამოც, პლენუმის მუშაობის მნიშვნელოვანი პროცედურული საკითხები რეგულირების გარეშე რჩება;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატის, ასევე დიდ პალატაში მოსამართლეების პლენუმისთვის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;
- მიუხედავად იმისა, რომ პლენუმს საპროცესო უფლებამოსილებები არ გააჩნია, მას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა აქვს;
- პლენუმის უფლებამოსილება, რეკომენდაციით მიმართოს პრეზიდენტსა და მთავრობას საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სცდება მის ინსტიტუციურ როლს;

- პლენუმი განსაზღვრავს მოსამართლეებისთვის დანამატების გაცემის შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.

4. პლენუმის შემადგენლობა

პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებისგან.¹²

იმ კრიტიკის მიუხედავად, რომელიც უზენაეს სასამართლოში სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების ყოფნას უკავშირდება, საკანონმდებლო ჩანაწერი კვლავაც უცვლელია.¹³ აღსანიშნავია, რომ, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე არც ამჯერად დასწრებია პლენუმის სხდომებს.

უზენაესი სასამართლოს პლენუმს არ აქვს უფლებამოსილებები, რომლებიც შეიძლება რაიმე ფორმით ეხებოდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს. შესაბამისად, კვლავ გაუგებარია, არგუმენტები, რომელთა გამოც, შეიძლება ისინი პლენუმის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ.¹⁴ გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები, კანონის შესაბამისად, მონაწილეობენ პლენუმის ყველა გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის, ისეთ საკითხებზეც, რომლებიც ექსკლუზიურად უზენაეს სასამართლოს ეხება და არა - მთლიანად საერთო სასამართლოების სისტემას, რაც დაუშვებელია. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის წესი განსხვავებულია, აქედან გამომდინარე, მხოლოდ მესამე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ ლეგიტიმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციასთან დაკავშირებულ თემებზე.¹⁵

საიას რეკომენდაციით, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც პლენუმის შემადგენლობაში მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ყოფნას დაადგენს.

5. პლენუმის სხდომის მოწვევა

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ პლენუმის სხდომის ჩანიშვნისა და მისი მოწვევის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები. სხდომის ჩანიშვნა, ერთპიროვნულად, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, მისი მოწვევის უფლება კი აქვს როგორც ამ უკანასკნელს, ისე პლენუმის წევრთა არანაკლებ 1/5-ს.¹⁶

¹² საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹³ თამარ ხუზია, უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგის ანგარიში, თბილისი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, 8-10.

¹⁴ იქვე.

¹⁵ თამარ ხუზია, დასახელებული ნაშრომი, 8-10.

¹⁶ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

კანონმდებლობა ღიად ტოვებს საკითხს, რა ზომებს უნდა მიმართონ პლენუმის წევრებმა, თუ, მათი მოთხოვნის მიუხედავად, თავმჯდომარე სხდომას არ ჩანიშნავს. ასევე, გაწერილი არ არის პროცედურები, ის მოთხოვნიდან რა ვადაში უნდა ჩაინიშნოს. **მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე არსებობდეს რეგულაცია, რომელიც წევრებს პლენუმის სხდომის ჩატარების საშუალებას მისცემს.**

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოში პლენუმი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს.¹⁷ მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებში არსებობს საკანონმდებლო ჩანაწერები, რომლებიც კოლეგიურ ორგანოს უფრო ხშირად შეკრებას ავალდებულებს, საქართველოში ამის საჭიროება არ დამდგარა.¹⁸ უზენაესი სასამართლოს პლენუმი საანგარიშო პერიოდში 11-ჯერ შეიკრიბა.

6. გადაწყვეტილების მიღების წესი

პლენუმი უფლებამოსილია, განიხილოს საკითხი, თუ სხდომას პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი ესწრება.¹⁹ გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორი მესამედი.²⁰

წინა ანგარიშის შესაბამისად, რეკომენდებული იყო კვორუმის აწევა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გამართულად ფუნქციონირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე საზოგადოების მხრიდან ნდობის არსებობის აუცილებლობის გათვალისწინებით, არსებითია, რომ მოსამართლედ განწესდნენ **პირები, რომლებთან დაკავშირებითაც ფართო კონსენსუსი მიიღწევა. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, საია კვლავ პრიორიტეტულად მიიჩნევს კვორუმის გაზრდას სრული შემადგენლობის 2/3-მდე.**

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ყველა გადაწყვეტილება მიიღო ერთხმად.

7. მოსამართლეთა ინფორმირება სხდომისა და განსახილველი საკითხების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის, როდის უნდა მიეწოდოს პლენუმის წევრს ინფორმაცია სხდომის შესახებ. გარდა ამისა, კანონი არ შეიცავს დათქმას, როდის უნდა გადაეცეთ მათ შესაბამისი მასალები. წინა ანგარიშმა ცხადყო, რომ, შესაძლებელია, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც პლენუმი იღებს ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, პლენუმის წევრებს კი არ

¹⁷ იქვე.

¹⁸ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 10.

¹⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁰ იქვე.

აქვთ ინფორმაცია მის შესახებ.²¹

ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით მოსამართლეებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. საიას მოსაზრებით, **10 დღე არის ოპტიმალური ვადა, რა დროც უნდა დადგინდეს სხდომის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებისთვის. ეს უნდა აისახოს კანონში. ამდენივე დღით ადრე უნდა გასაჯაროვდეს დღის წესრიგი და პლენუმის წევრებს მიეწოდოს შესაბამისი დოკუმენტები/ინფორმაცია, რომლებიც შეიძლება გადაწყვეტილების მისაღებად დასჭირდეთ.**

8. პლენუმის მუშაობის საჭაროობა

8.1. პლენუმის სხდომის საჯაროობა

ევროპულ სახელმწიფოებში დემოკრატიის განვითარების საზომი არის მოქალაქეთა ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, როგორ ფუნქციონირებს მათ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლება, ასევე, რა ბერკეტები გააჩნიათ მათ იმისთვის, რომ სასამართლოთა საქმიანობის შესახებ საჭირო ინფორმაცია მიიღონ.²²

უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობა, „როგორც წესი, საჯაროა“.²³ საანგარიშო პერიოდში არცერთი სხდომა არ დახურულა. თუმცა, ნორმაში არსებული სიტყვათშეთანხმება „როგორც წესი“ საშუალებას აძლევს პლენუმს, სხდომა დახუროს. ასეთი პრეცედენტი იყო წინა საანგარიშო პერიოდში.²⁴ ქვეყნებში, სადაც სასამართლოს მიმართ ნდობა ძალიან დაბალია და ხშირია საუბარი კორპორატივიზმზე, საჯაროობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამიტომ, საჭიროა, კანონმდებლობით გაიწეროს კონკრეტული გარემოებები, როდესაც პლენუმის სხდომის დახურვა იქნება შესაძლებელი.

საია მიიჩნევს, რომ პლენუმის სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუმცა უნდა განისაზღვროს ამგვარი შემთხვევების მკაფიო ჩამონათვალი.

8.2. გადაწყვეტილებათა პროაქტიულად გამოქვეყნება, ინფორმაციის განთავსება, აუდიოჩაწერა

უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე სხდომის შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, დროულად იღება.²⁵ ეს ფაქტი დადებითად უნდა შეფასდეს.

²¹ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 11.

²² Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no 7 (2005) of the Consultative Council of European Judges (CCJE) to the attention of the Committee of Ministers on “justice and society”, Strasbourg, 25 November 2005. ხელმისაწვდომია: <https://www.csm.it/documents/46647/0>, განახლებულია: 18.01.2023.

²³ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁴ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 12.

²⁵ სხდომების შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, ორი ან მეტი დღით ადრე ქვეყნდებოდა, თუმცა იყო რამდენიმე გამონაკლისიც: 2022 წლის 13 იანვრის სხდომის შესახებ ცნობილი გახდა 12 იანვარს, 2021 წლის 10 დეკემბრის სხდომის შესახებ - 9 დეკემბერს.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, პლენუმის სხდომის შესახებ ინფორმაცია, ამჯერადაც, ყოველთვის მინიმუმ წინა დღეს იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, საჭიროა, რომ ეს საკითხიც რეგლამენტით დარეგულირდეს და ვადა გაიზარდოს.

სხდომის შესახებ ინფორმაციას თან ერთვის დღის წესრიგიც, თუმცა იგი მოიცავს მხოლოდ ზოგად ჩანაწერს - „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციული საკითხების განხილვა.“ დოკუმენტში ეს ჩანაწერი გვხვდება, როცა საქმე ეხება დანამატების საკითხს და მაშინაც, როდესაც პლენუმი კოლეგიის შემადგენლობის განსასაზღვრად იკრიბება. **მნიშვნელოვანია, დღის წესრიგი იყოს კონკრეტული და დაინტერესებულ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ გაიგოს, რას შეეხება სხდომა.**

გარდა დღის წესრიგისა, მნიშვნელოვანია, პროაქტიულად გამოქვეყნდეს პლენუმის გადაწყვეტილებებიც, რაც საანგარიშო პერიოდში არ კეთდებოდა. 2020 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებოდა, პრობლემური იყო მისი ფორმატი. როგორც წესი, ის წარმოდგენილი იყო პრესრელიზის სახით, რის გამოც, შეუძლებელი იყო ამომწურავი ინფორმაციის მიღება.

სხდომების აუდიოჩანაწერა, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო, თუმცა ორ სხდომაზე ეს ვერ მოხერხდა.²⁶ აუდიოჩანაწერის გაკეთება სავალდებულო არ არის, არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები და ეს საკითხი მთლიანად უზენაეს სასამართლოზეა დამოკიდებული, რაც, ცალსახად, პრობლემაა. **მნიშვნელოვანია, სხდომების აუდიოჩანაწერის ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს.**

8.3. პლენუმის მიერ თანამდებობაზე გასამწესებელ პირთა შესახებ ინფორმაცია

პლენუმი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გარკვეულ საკადრო გადაწყვეტილებებს.²⁷ ყველაზე მნიშვნელოვანი, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნაა, თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ საკითხზე მსჯელობის საჭიროება არ დამდგარა.²⁸ კანდიდატთა შერჩევის პროცესში საჭიროა სრული გამჭვირვალობა,²⁹ რათა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს რწმენა, რომ მის საქმეს კომპეტენტური მოსამართლეები განიხილავენ.³⁰

²⁶ 2022 წლის 15 და 19 აპრილის სხდომები.

²⁷ არ მოიაზრება პალატების შემადგენლობის განსაზღვრისა და თავმჯდომარეების არჩევის უფლებამოსილება.

²⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი.

²⁹ ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, „მართლმსაჯულების საბჭოს როლის შესახებ საზოგადოების სამსახურში“, დასკვნა №10, სტრასბურგი, 2007 წლის 21-23 ნოემბერი, პარ. 50.

³⁰ იქვე.

საიას რეკომენდაციით, აუცილებელია, კანდიდატის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს სხდომამდე 10 დღით ადრე, ხოლო კანონმდებლობაში ამის შესახებ ცალკე დათქმა გაკეთდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების გარდა, პლენუმი ნიშნავს ასევე სხვა თანამდებობის პირებსაც.³¹ მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის საკადრო გადაწყვეტილებებზე პლენუმს საანგარიშო პერიოდში არ უმსჯელია, ზოგადად, საჭიროა საჯაროობის ისეთივე სტანდარტის დამკვიდრება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან დაკავშირებით არსებობს.³²

9. უზენაესი სასამართლოს რეგლამენტი

კოლეგიური ორგანოს საქმიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროცედურების ცხადად გაწერა. ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის („ვენეციის კომისია“), ერთ-ერთ დასკვნაში საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით (თუმცა, იმავე მოსაზრების გავრცელება შესაძლებელია უზენაეს სასამართლოზეც) აზუსტებს, რომ რეგლამენტის მსგავსი დოკუმენტები ავსებს სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკულ დეტალებს და იგი თავად სასამართლომ უნდა შეიმუშაოს.³³ სასამართლოები უნდა სარგებლობდნენ გარკვეული ავტონომიით საკუთარ პროცედურებთან დაკავშირებით. კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის ფარგლებში მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, შეცვალონ ისინი კანონმდებლის ჩარევის გარეშე.³⁴ ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, სასურველია აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო ჩართულობის თავიდან აცილება სასამართლოს შიდა საქმიანობისა და პროცედურების რეგლამენტის მიღებაში.³⁵

როგორც წინა ანგარიშში აღინიშნა, უზენაეს სასამართლოში, უკვე დიდი ხანია, საუბრობენ რეგლამენტის საჭიროებაზე, თუმცა ეს თემა კვლავ მოუგვარებელია.³⁶ იმის გამო, რომ პლენუმს არ აქვს რეგლამენტი, საკმაოდ ბევრი პროცედურული საკითხი რეგულირების მიღმა რჩება. მაგალითად, არ არის გაწერილი, დიაობის რა სტანდარტით იმუშავებს სასამართლო და ეს მხოლოდ მოსამართლეთა შეხედულებაზეა დამოკიდებული. ამ მიმართულებით კარგი პრაქტიკა დაინერგა საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც ორგანიზაციისა და კონსტი-

³¹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

³² იქვე, „ი“ ქვეპუნქტი.

³³ European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Azerbaijan - Opinion on the Rules of Procedure of the Constitutional Court of Azerbaijan, para. 5-6, Opinion 275/2004, Strasbourg 23 June 2004, ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2004\)023-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2004)023-e), განახლებულია: 18.01.2023.

³⁴ იქვე, 9.

³⁵ European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Opinion on the draft law on the courts of Bosnia and Herzegovina, para. 70, ხელმისაწვდომია: <https://www.venice.coe.int/webforms>, განახლებულია: 18.02.2023.

³⁶ თამარ ხუნია, დასახელებული ნაშრომი, 15.

ტუციური სამართალწარმოების იმ წესებს, რომლებიც ორგანული კანონით ან/და კონსტიტუციით არ რეგულირდება, რეგლამენტი განსაზღვრავს.³⁷

აუცილებელია, უზენაესმა სასამართლომ მიიღოს რეგლამენტი და უზრუნველყოს მეტი პროცედურული სიცხადე.

10. პლენუმის უფლებამოსილებები და ვალდებულებები

10.1. სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობების/თავმჯდომარეების განსაზღვრის უფლებამოსილება

უზენაესი სასამართლო შედგება რამდენიმე სტრუქტურული ერთეულისგან: პლენუმი, დიდი პალატა, სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, სადისციპლინო პალატა, საკვალიფიკაციო პალატა.³⁸ კანონის შესაბამისად, პლენუმი ირჩევს დიდი პალატის შემადგენლობას, ასევე - პალატების თავმჯდომარეებს და აკომპლექტებს მათ.³⁹

დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 12 მოსამართლით.⁴⁰ ზედა ზღვარი დადგენილი არ არის.⁴¹ დიდი პალატის წევრთა კანდიდატურების პლენუმისთვის წარდგენა დასამტკიცებლად შეუძლია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.⁴² ვინაიდან მოსამართლეთა რაოდენობის ზედა ზღვარი დადგენილი არ არის, ეს თავმჯდომარეს აძლევს შესაძლებლობას, პალატა მხოლოდ თავისი თანამოაზრეებით დააკომპლექტოს, ხოლო მისთვის არასასურველი კანდიდატები პლენუმს საერთოდ არ წარუდგინოს.⁴³

ამ ეტაპისთვის უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლე დიდი პალატის შემადგენლობაშია და საქმეები მათზე ელექტრონული წესით ნაწილდება. თუმცა, ეს მხოლოდ თავმჯდომარის კეთილ ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. **თვითმმართველობის ხარისხის გაზრდისთვის, უმჯობესია, საკანონმდებლო დონეზე კანდიდატის წარდგენის უფლება პლენუმის ყველა წევრს ჰქონდეს.**

პლენუმი წევრთა წარდგინებით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობებსა და თავმჯდომარეებს.⁴⁴

საანგარიშო პერიოდში ლევან მიქაბერიძე აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. ვინაიდან იგი უზენაეს სასამართლოში იკავებდა საკვალიფიკაციო პალატის მოსამართლის თანამდებობას, საკანონმდებლო შეუთავსებლობის

³⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

³⁸ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴¹ იქვე.

⁴² საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴³ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 17.

⁴⁴ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

გამო, აუცილებელი გახდა მისი სხვა პალატაში გადაყვანა.⁴⁵ საკვალიფიკაციო პალატის ვაკანტური თანამდებობის შესავსებად გიორგი მიქაუტაძემ პლენუმს ვლადიმერ კაკაბაძის კანდიდატურა წარუდგინა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სხდომაზე აღნიშნა, რომ ბალანსისთვის კარგი იქნებოდა ადმინისტრაციული პალატიდან მოსამართლის დანიშვნა, თუმცა ადმინისტრაციული პალატის მოსამართლეებმა ამის სურვილი არ გამოხატეს.⁴⁶ თანამდებობაზე ერთხმად დანიშნა ვლადიმერ კაკაბაძე.⁴⁷

2021 წლის 15 ივლისის სხდომაზე პარლამენტის მიერ დანიშნული მოსამართლეები პალატებში გაანაწილეს.⁴⁸ უზენაეს სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პირველ ეტაპზე თავად მოსამართლეებს ეკითხებიან, რომელ პალატაში სურთ მუშაობის გაგრძელება. გოჩა აბუსერიძე, გიორგი გოგიაშვილი და ბიძინა სტურუა განწყესდნენ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში,⁴⁹ ლევან თევზაძე - სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რევაზ ნადარაია და ლაშა ქოჩიაშვილი - სამოქალაქო საქმეთა პალატაში.⁵⁰ ამავე სხდომაზე, საკუთარი ინიციატივით და პლენუმის მხარდაჭერით, ალექსანდრე წულაძე ადმინისტრაციულიდან სამოქალაქო პალატაში გადავიდა.⁵¹

2021 წლის 10 დეკემბერს პლენუმი კიდევ ოთხი ახალი მოსამართლით შეივსო. თეა ძიმისტარაშვილი დანიშნა სამოქალაქო საქმეთა პალატაში, თამარ ოქროპირიძე და გენადი მაკარიძე - ადმინისტრაციულში, ხოლო ნინო სანდოძე სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.⁵²

2022 წლის 13 იანვარს უზენაეს სასამართლოს შეუერთდა და, პლენუმის გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საქმეთა პალატაში განწყესდა ამირან ძაბუნძე.⁵³

2022 წლის 15 აპრილს პლენუმმა სადისციპლინო პალატის შემადგენლობაზე იმსჯელა. სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე ზურაბ ძლიერიშვილს სამწლიანი ვადა ამოეწურა.⁵⁴ ლევან მიქაბერიძემ ამ პალატის წევრობის კანდიდატად რევაზ ნადარაია დაასახელა, რომელმაც კანდიდატურის განხილვაზე თანხმობა განაცხადა.⁵⁵ სხვა კანდიდატი არ დაუსახელებიათ, შესაბამისად, რევაზ ნადარაია ერთხმად აირჩიეს.⁵⁶

ამავე სხდომაზე დღის წესრიგში დადგა პალატის თავმჯდომარის არჩევის საკითხი. ამჯერად გიორგი მიქაუტაძემ დაასახელა რევაზ ნადარაიას კანდიდატურა (იმ მოტივით, რომ კოლეგიის სხვა წევრებს, ფაქტობრივად, ამოწურული ჰქო-

⁴⁵ უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 11 მაისის წერილი, №3-456-22.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე.

ნდათ უფლებამოსილების ვადის ნახევარი). გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს.⁵⁷

2022 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე მირანდა ერემაძემ დატოვა სადისციპლინო პალატის წევრის თანამდებობა, რომელიც მან 2019 წლის 17 დეკემბერს დაიკავა,⁵⁸ შესაბამისად, ვადა 2022 წლის დეკემბერში ეწურებოდა. ლევან თევზაძემ პლენუმს წარუდგინა გოჩა აბუსერიძის კანდიდატურა.⁵⁹ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოლეგებს კითხვით მიმართა, ვინმე სხვას ხომ არ სურდა ამ თანამდებობის დაკავება, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. პლენუმმა ერთადერთი კანდიდატი გოჩა აბუსერიძე ერთხმად აირჩია.⁶⁰

იმავედროულად, რევაზ ნადარაიამ, სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამართლიანი იქნებოდა, თუ თავმჯდომარეს ხელახლა აირჩევდნენ.⁶¹ გოჩა აბუსერიძემ წინასწარვე განაცხადა უარი თავმჯდომარეობაზე, შესაბამისად, ამ პოსტზე პლენუმმა ალექსანდრე წულაძე აირჩია.⁶²

საინტერესოა, რომ სწორედ გოჩა აბუსერიძის გადაწყვეტილების გამო ჩაინიშნა მოსამართლეთა კონფერენცია, რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი ახალი წევრი აირჩია. საბჭო ვადაზე ადრე, გოჩა აბუსერიძესთან ერთად, გიორგი გოგინაშვილმაც დატოვა.⁶³

2022 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე მამუკა ვასაძის უფლებამოსილების ვადის გასვლის საკითხზე იმსჯელეს საკვალიფიკაციო პალატაში.⁶⁴ მერაბ გაბინაშვილმა კვლავ მამუკა ვასაძის კანდიდატურა დააყენა.⁶⁵ კენჭისყრის შედეგად, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა თანამდებობაზე მამუკა ვასაძე ერთხმად აირჩია.⁶⁶

10.2. პოლიტიკური ხასიათის უფლებამოსილებები

სამართლებრივი უფლებამოსილებების გარდა, უზენაესი სასამართლო, გარკვეულწილად, პოლიტიკურ კომპეტენციებსაც ფლობს. ამ შემთხვევაში ასეთად მიიჩნევა უფლებამოსილებები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება მართლმსაჯულების განხორციელებას, თუმცა გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასა და პოლიტიკის ფორმირებაზე.⁶⁷

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ მირანდა ერემაძე სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/judge/miranda-eremadze>, განახლებულია: 18.01.2023.

⁵⁹ უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 27 ოქტომბრის წერილი №3 -1271-22.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე.

⁶³ „კოალიცია მოსამართლეთა XXXI კონფერენციას ეხმაურება“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2022 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=275&clang=0, განახლებულია: 18.01.2023.

⁶⁴ უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის წერილი, №3-1455-22.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 18.

ამ კომპეტენციებში შეიძლება მოიხზებოდეს: პლენუმის უფლება, დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი,⁶⁸ ამავე სასამართლოში შეიტანოს წარდგინება კონკრეტულ საკითხზე,⁶⁹ პრეზიდენტს ან მთავრობას მიმართოს რეკომენდაციით საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე.⁷⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა

წინა საანგარიშო პერიოდში უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ორი წევრი დანიშნა საკონსტიტუციო სასამართლოში.⁷¹ 2021-22 წლებში ამის საჭიროება არ ყოფილა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის პროცედურებში არის საკითხები, რომელთა კანონმდებლობაში ასახვა უკეთესობისკენ შეცვლიდა სამართლებრივ რეალობას.

დღევანდელი მოცემულობით კანდიდატს ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.⁷² თუმცა, მისთვის ამ უფლებამოსილების ექსკლუზიურად მინიჭების საჭიროება არ არსებობს.⁷³ კანდიდატის წარდგენა უნდა შეეძლოს ყველა მოსამართლეს. ასევე, კონსენსუსზე ორიენტირებული მიდგომის გასამყარებლად, კვორუმი უნდა გაიზარდოს.

მაღალი ლეგიტიმაციისა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უნდა იყოს არა დამსწრეთა 2/3-ის, არამედ სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება

უზენაესი სასამართლოს პლენუმს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლება აქვს.⁷⁴ კოლეგიურ ორგანოს ეს უფლებამოსილება 2014 წლის შემდგომ არ გამოუყენებია.⁷⁵

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ინილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონ-

⁶⁸ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁶⁹ იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁷⁰ იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁷¹ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 15.

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷³ ქეთევან კუკავა და სხვები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020, 48.

⁷⁴ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

⁷⁵ ქეთევან კუკავა და სხვები, დასახელებული ნაშრომი, 62.

კრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს სასამართლომ.⁷⁶ ამ ჩანაწერის მიხედვით, წარდგინების უფლება აქვს მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს. პლენუმს კი მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია. ის არ განიხილავს საქმეებს, შესაბამისად, მისი ეს კომპეტენცია არაკონსტიტუციურია და უნდა გაუქმდეს.

გარდა არაკონსტიტუციურობისა, ამ ეტაპზე ტექნიკურადაც შეუძლებელია ამ უფლებამოსილების განხორციელება. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის ჩანაწერი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლზე, რომელიც კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდგომ საერთოდ არ არსებობს.⁷⁷

რეკომენდაციით მიმართვის უფლებამოსილება

პლენუმს უფლება აქვს, მიმართოს მთავრობას ან პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით.⁷⁸ 2012 წლის შემდეგ მას ამ უფლებით არ უსარგებლია.⁷⁹ თუმცა, მისი გამოყენების შესახებ ინფორმაცია არც მანამდე მოიპოვება.⁸⁰

წინა ანგარიშის ფარგლებში ამ უფლებამოსილების საჭიროებასთან დაკავშირებით სასამართლო სფეროს ექსპერტებთან ინტერვიუების ჩატარებისას პოზიციები ორად გაიყო. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს საჭირო არ არის, ხოლო მეორეს აზრით, შეიძლება ზოგიერთ საკითხზე პლენუმს ეს ფუნქცია ჰქონდეს.⁸¹

საიას მოსაზრებით, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ამგვარი უფლებამოსილებები სწორედ მან უნდა განახორციელოს. კონსტიტუციის მიხედვით, სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობას.⁸²

10.3. უზენაესი სასამართლო, როგორც დოქტრინალური ინსტანცია - პლენუმის როლი

საკასაციო ინსტანციის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სამართლის ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამ ფუნქციიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ უნდა იზრუ-

⁷⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁷⁷ გიორგი დავითური და გიორგი დავითაშვილი, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, უნივერსალი, 2021, 45.

⁷⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁷⁹ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 19.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე.

⁸² საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლი.

ნოს არა მხოლოდ მართლმსაჯულების კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე, არამედ სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზეც.⁸³ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პლენუმის უფლებამოსილება:

- შექმნას უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნოს მისი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია;
- ჩამოაყალიბოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, დაამტკიცოს მისი დებულება, შემადგენლობა და სწავლული მდივანი;
- დანერგოს იმგვარი სტრუქტურული მოწყობა, რომელიც გააძლიერებს ანალიტიკურ გუნდს.

ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე მოსამართლეებმა 2020 წელს პლენუმის ერთ-ერთ სხდომაზე გაამახვილეს ყურადღება.⁸⁴ ისაუბრეს უფლებამოსილებათა დუბლირების შემთხვევებსა და ანალიტიკური დოკუმენტების ხარისხზეც. გარდა ამისა, განიხილეს რეორგანიზაციის საკითხები⁸⁵ და წარადგინეს მისი გეგმა, რომლის მიმართ ბევრი კითხვა და კრიტიკა არსებობდა. ამ საკითხს პლენუმი დღემდე აღარ მიჰბრუნებია და მასზე მსჯელობა ამ საანგარიშო პერიოდშიც აღარ განუახლებია. **მისასალმებელი იქნება, თუ პლენუმი გაააქტიურებს ამ მიმართულებით მუშაობას და მოსამართლეთა ჩართულობა მხოლოდ ერთი სხდომით არ შემოიფარგლება.**⁸⁶

10.4. ადმინისტრაციული ხასიათის უფლებამოსილებები

უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობის განსაზღვრა

უზენაესი სასამართლოს პლენუმი განსაზღვრავს სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობას.⁸⁷

ცხადია, მოსამართლეთა ანაზღაურება უნდა იყოს ღირსეული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების მიხედვით, თითოეული ქვეყანა ვალდებულია, გამოყოს საკმარისი რესურსები, რათა მოსამართლემ შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება.⁸⁸

⁸³ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 20.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 20 ივლისის ბრძანება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის განსაზღვრის შესახებ“.

⁸⁶ თამარ ხუხია, დასახელებული ნაშრომი, 20.

⁸⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

⁸⁸ United Nations, UN Basic Principles on the Independence of the Judiciary, Principle 7, 06 September 1985, ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/en/instruments>, განახლებულია: 18.01.2023.

ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ბონუსები და სხვა არაფინანსური სარგებელი, რომელიც დისკრეციულ ელემენტებს შეიცავს, ეტაპობრივად უნდა გაუქმდეს.⁸⁹ ამავე დასკვნის მიხედვით, ანაზღაურების ოდენობა, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ქვეყანაში არსებული სოციალური პირობების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.⁹⁰ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) შეფასებით, გრძელვადიან პერსპექტივაში პრემიები და პრივილეგიები უნდა გაუქმდეს. ხელფასები კი უნდა გაიზარდოს ისე, რომ დააკმაყოფილოს მოსამართლეების საჭიროებები ცხოვრების სათანადო დონის შესაბამისად, იმავდროულად, ადეკვატურად უნდა ასახავდეს მათი პროფესიის მნიშვნელობას.⁹¹ იმ შემთხვევაში, თუ პრემიებისა და პრივილეგიების სისტემა იარსებებს, აუცილებელია, ის ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და გამჭვირვალე პროცედურებს. გარდა ამისა, სასამართლოს თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონდეს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება.⁹²

როგორც წინა ანგარიშის მიგნებებიდან გამოიკვეთა, ჩანაწერი პრობლემატურია რამდენიმე მიმართულებით:

1. არ არის დადგენილი ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება დანამატების გაცემის მიზანშეწონილობა და რაოდენობა. ხოლო კონტროლის მექანიზმის არარსებობა ზრდის სახელმწიფო რესურსის უსამართლოდ განაწილების რისკს;
2. პლენუმის ფართო დისკრეციის გამო, დანამატების არსებობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.

2022 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე პლენუმმა განიხილა 2022 წლის დანამატების საკითხი, თუმცა ამჯერად მას მსჯელობა არ მოჰყოლია. სხდომაზე არცერთი კითხვა არ დასმულა და არც შენიშვნა გამოთქმულა.

საია მიიჩნევს, რომ პლენუმისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება არ არის მიზანშეწონილი და ეს საკითხი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

⁸⁹ European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Report On The Independence Of The Judicial System Part I: The Independence Of Judges, para. 51, Study No. 494 / 2008, Strasbourg, 16 March 2010, ხელმისაწვდომია: [https://www.Venice.Coe.int/Webforms/Documents/?Pdf=Cdl-Ad\(2010\)004-E](https://www.Venice.Coe.int/Webforms/Documents/?Pdf=Cdl-Ad(2010)004-E), განახლებულია: 18.01.2023.

⁹⁰ იქვე, 46.

⁹¹ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Max Planck Minerva Research Group on Judicial Independence, Kyiv Recommendations On Judicial Independence In Eastern Europe, South Caucasus And Central Asia, Kyiv, 23-25 June 2010, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/7/4/75508.pdf>, განახლებულია: 18.01.2023.

⁹² იქვე.

11. რეკომენდაციები

- პლენუმის შემადგენლობიდან ამოირიცხონ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები და ის მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებით დაკომპლექტდეს;
- პლენუმის წევრთა მხრიდან სხდომის მოწვევის შემთხვევაში განისაზღვროს თავმჯდომარის მიერ მისი დანიშვნის გონივრული ვადა;
- პლენუმის წევრებსა და საზოგადოებას სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობოს 10 დღით ადრე;
- დადგინდეს იმ შემთხვევების ვიწრო ჩამონათვალი, როდესაც დასაშვები იქნება პლენუმის სხდომის დახურვა;
- განისაზღვროს პლენუმის სხდომის ოქმის საჯაროდ განთავსების, აუდიოჩანაწერის გაკეთებისა და გამოქვეყნების ვალდებულება;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევისთვის საჭირო ხმების რაოდენობა დამსწრეთა 2/3-იდან გაიზარდოს სიითი შემადგენლობის 2/3-მდე. კანდიდატის წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს პლენუმის ყველა წევრს; აუცილებელია, კანდიდატის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს სხდომამდე 10 დღით ადრე, ხოლო კანონმდებლობაში ამის შესახებ ცალკე დათქმა გაკეთდეს.
- პროცედურული საკითხების დასარეგულირებლად უნდა შემუშავდეს პლენუმის რეგლამენტი;
- პლენუმის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს დიდ პალატაში მოსამართლის წარდგენის უფლება;
- პლენუმს აღარ უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება;
- პლენუმის უფლება, უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე მიმართოს მთავრობას ან პრეზიდენტს, უნდა გადაეცეს საბჭოს;
- პლენუმს აღარ უნდა ჰქონდეს დანამატების განსაზღვრის უფლებამოსილება. ნებისმიერი ანაზღაურება მოსამართლემ უნდა მიიღოს კანონით გაწერილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.